



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/230

“ 17 ” ივლისი 2017 წ.

გ ა ლ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13¹ მუხლის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

- ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;
- ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;
- გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;
- დ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2017 წლის 17 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი